



ადმონსავლეთის პარტნიორობის  
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის  
საქართველოს ეროვნული პლატფორმა

მესამე სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი

თარიღი: 30 ივლისი, 2012 წელი

დრო: 16:00 - 18:00

შეხვედრის ადგილი: ფონდი ღია საზოგადოება-საქართველოს ოფისი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ლია თოდუა - საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი (თანაკოორდინატორი)
2. თამაზ მარსაგიშვილი - ასოციაცია ევროპული კვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისათვის (ESIDG)
3. ვახტანგ ზარქუა - ენერგოეფექტურობის ფონდი
4. კახა ნადაირაძე, ნანა ფიროსმანიშვილი - ფერმერთა უფლებების დაცვის ასოციაცია
5. გიორგი მუხიგულიშვილი - მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის
6. რუსუდან სიმონიძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა
7. მანანა დევიძე - ფონდი კავკასიის ეკოლოგია
8. ბიოლოგიურ მეცნიერებათა ასოციაცია ელკანა - მანანა წულაია
9. ეკოტექი - ნუგზარ სულამანიძე
10. დავით ცისკარიძე - საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრი

ჯგუფის რამდენიმე წევრმა წინასწარ გააფრთხილა ერთ-ერთი თანაკოორდინატორი იმის თაობაზე, რომ საპატიო მიზეზის გამო ვერ დაესწრებოდა ჯგუფის შეხვედრას, კერძოდ:

1. მანანა ქოჩლაძე - მწვანე ალერტნატივა
2. რეზო გეთიაშვილი - კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი

## განსახილველი საკითხები:

1. ჯგუფის მიერ ეროვნული გარემოსდაცვითი სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის საჭიროება და შესაძლებლობანი; მოსაზრებათა გაცვლა, გადაწყვეტილების მიღება.
2. 2011 წელს ჯგუფის მიერ მომზადებული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის ორგანიზება. მოსაზრებათა გაცვლა, გადაწყვეტილების მიღება.
3. სოფლის მეურნეობის სამოქმედო გეგმის მომამზადებელი ჯგუფის გარემოსდაცვითი ქვეჯგუფის საქმიანობებში ჯგუფის მონაწილეობა. მოსაზრებების გაცვლა, გადაწყვეტილების მიღება.
4. პროექტის მომზადების ორგანიზება ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის მიერ გამოცხადებული კონკურსზე წარსადგენად. მონაწილეობის მსურველთა დაფიქსირება, ლიდერის გამოვლენა. მოსაზრებები პროექტის მომზადების პროცესის წარმართვის შესახებ, გადაწყვეტილება-შეთანხმება.

სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გახსნა ჯგუფის თანაკოორდინატორმა და წევრებს წარუდგინა მათთვის წინასწარ გაგზავნილი დღის წესრიგის მონახაზი - საკითხთა ჩამონათვალი უფრო დეტალური განმარტებით. ჯგუფის წევრებმა დღის წესრიგის მესამე საკითხის განხილვა შემდეგ შეხვედრამდე გადადეს, რადგანაც კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი წარმომადგენელი, რომელიც წინა შეხვედრაზე აღნიშნული საკითხის მომხსენებელი იყო, ვერ დაესწრო 30 ივლისის შეხვედრას. სხვა საკითხების გაცნობის შემდეგ დამსწრეთა სრული შემადგენლობის თანხმობით დღის წესრიგი დამტკიცდა.

ჯგუფის წევრებმა პირველ საკითხად იმსჯელეს 2012-2016 წლების "საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეორე ეროვნული პროგრამის" შესრულების მონიტორინგის საჭიროებასა და შესაძლებლობებზე. თანაკოორდინატორმა დამსწრეებს აცნობა, რომ პროგრამის ტექსტი, რომელიც მიმდინარე წლის იანვარში დამტკიცდა მთავრობის განკარგულებით, გამოითხოვა საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროსგან, რამდენადაც განკარგულებები როგორც წესი ხელმისაწვდომი არ არის კოდექსში.

ჯგუფის წევრები შეთანხმდნენ, რომ 2012 წლის ბოლოდან შესაძლებელია სამინისტროს მიერ გეგმით გაწერილი აქტივობების შესრულების მონიტორინგის დაწყება. ენერგოეფექტურობის ფონდის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ასეთი გეგმის მონიტორინგისთვის საჭიროა სერიოზული ექსპერტიზა და სათანადო რესურსები. მონიტორინგთან დაკავშირებულ პროცესებში უნდა ჩაერთონ ის გარემოსდაცვითი ორგანიზაციები, რომლებიც მეტნაკლებად იცნობენ აღნიშნულ დოკუმენტს და მონაწილეობდნენ მის მომზადებაში. თანაკოორდინატორმა დამსწრეებს აცნობა, რომ გეგმა უკვე დიდი ხანია მუშავდება და პლატფორმის წევრი ორგანიზაციები, კერძოდ საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი,

საქართველოს მწვანეთა მოძრაობა, ფერმერთა უფლებების დაცვის ასოციაცია მონაწილეობას იღებდნენ დოკუმენტის შემუშავებაში. დამსწრეები შეთანხმდნენ, რომ ზემოთ დასახელებული ორგანიზაციები ჯგუფის სხვა წევრებს მიაწვდიან შეჯერებულ ინფორმაციას დოკუმენტის დადებითი და უარყოფითი მხარეების შესახებ, შემდეგ შეხვედრაზე შესაძლებელია გაკეთდეს მცირე მოხსენება, რის შემდეგაც უფრო მარტივი იქნება მონიტორინგის სქემისა და სავარაუდო აქტივობების განსაზღვრა.

ამის შემდეგ წევრებმა განიხილეს მესამე სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის შესაძლებლობები. თანაკოორდინატორმა დამსწრეებს შეახსენა, რომ 2011 წელს ჯგუფის წევრებმა მოამზადეს სხვადასხვა სტილის ანალიტიკური სტატიები, რომლებსაც მისი აზრით ნაკლებად ჰქონდა რეკომენდაციის ხასიათი. სტატიები განთავსდა როგორც ორგანიზაციების, ასევე პლატფორმის ვებ-გვერდზე. გაიმართა კონფერენცია, რომელსაც ესწრებოდნენ მთავრობის წარმომადგენლები. ენერგოეფექტურობის ფონდის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ანალიტიკის გარდა მის მიერ მომზადებულ ნაშრომში გარკვევით არის მოცემული კონკრეტული რეკომენდაციები. მისი აზრით, მხოლოდ რეკომენდაციების მომზადება და კონფერენციის გამართვა არ არის საკმარისი, აუცილებელია შემუშავებულ რეკომენდაციებს ჯგუფი ბოლომდე მიყვეს და მაქსიმალურად ეცადოს მათი შესრულების ადვოკატირებას შესაბამის უწყებებთან. ფონდის წარმომადგენლის აზრით, ამისთვის აუცილებელია მონიტორინგის განხორციელების სტრატეგიის ჩამოყალიბება, რომელიც გულისხმობს პროცესებში ხელისუფლების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლების ჩართვას. ორგანიზაციის ხელმძღვანელმა წამოაყენა ინიციატივა, რომ რეკომენდაციების საფუძველზე შემუშავდეს ოფიციალური წერილები და გაეგზავნოს შესაბამის უწყებებს.

ჯგუფის წევრები შეთანხმდნენ, რომ დასაგეგმია ენერგოეფექტურობის კამპანია, რომლის ფარგლებშიც ჯგუფის რეკომენდაციები იქნება სამინისტროსთან დიალოგის, შეხვედრების ორგანიზებისა და შემდგომი თანამშრომლობის საფუძველი. ფერმერთა ასოციაციის წარმომადგენლის აზრით, კარგი იქნება კამპანიაში სოციალური ქსელის გამოყენებაც. თანაკოორდინატორმა დამსწრეებს აცნობა, რომ მესამე სამუშაო ჯგუფს თავისი ფეისბუქ გვერდი უკვე აქვს, მაგრამ წევრების ნაკლებობის გამო, ფუნქციონირება შეწყვიტა. თუმცა, ჯგუფის წევრების მხრიდან დაინტერესების შემთხვევაში, შესაძლებელია აღნიშნული გვერდის გააქტიურება და კამპანიაში გამოყენება.

მწვანეთა მოძრაობის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ენერგოეფექტურობის კამპანია უკვე თითქმის დაიგეგმა მისი ორგანიზაციის მიერ. კამპანიის შემუშავებაში მონაწილეობას იღებდა ამ სექტორში მომუშავე ყველა ორგანიზაცია, ჩაერთო ასევე ბიზნეს სექტორიც. მომზადდა პრეზენტაციები სხვადასხვა თემებზე, იგეგმება შეხვედრები პარლამენტთან და პოლიტიკურ პარტიებთან, გაიმართება კონფერენცია და გაკეთდება დეკლარაცია. ორგანიზაციის წარმომადგენლის აზრით, შესაძლებელია ეს კამპანია გამოყენებულ იქნეს ახალი დიდი კამპანიის დასაგეგმად.

მსჯელობის შემდეგ ჯგუფის წევრები შეთანხმდნენ, რომ თანაკოორდინატორი მათ ელექტრონულად შესთავაზებს კამპანიის მონახაზს, რის შემდეგაც შესაძლებელი იქნება სამომავლო ნაბიჯების დაგეგმვა.

ჯგუფის წევრებმა ბოლო საკითხად იმსჯელეს ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე წარსადგენ პროექტზე, რომელიც ეხება სამოქალაქო სუბიექტების მიერ სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ სფეროებში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებასა და ამ პრობლემების მონიტორინგს. პროექტის სავარაუდო ხანგრძლივობა განისაზღვრება 10 – 18 თვით, მისი ბიუჯეტი შეადგენს 35 ათას ლარს და საპროექტო განაცხადის შეტანის ბოლო ვადაა 3 სექტემბერი. პროექტით განსაზღვრული მონიტორინგი ხორციელდება თემის, რეგიონის, ფედერალურ და სახელმწიფო დონეებზე. კონკურსის სქემა აერთიანებს შემდეგ სუბიექტებს: მოქალაქეები, არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიცია, მედია ორგანიზაცია (კონკურსის აუცილებელი პირობაა, რომ ერთი მედია ორგანიზაცია მაინც შედიოდეს კოალიციაში) და სახელმწიფო სტრუქტურები.

ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ დაკომპლექტდა პროექტზე მომუშავე ორგანიზაციების ჯგუფი: 1. საქართველოს მწვანეთა მოძრაობა; 2. ბიოლოგიურ მეცნიერებათა ასოციაცია ელკანა; 3. ფორნდი კავკასიის ეკოლოგია; 4. ეკოტეკი; 5. ფერმერთა უფლებების დაცვის ასოციაცია; 6. ენერგოეფექტურობის ფონდი; 7. საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრი; 8. მწვანე ტალღა. გადაწყდა, რომ პროექტის ლიდერი ორგანიზაცია იქნება საქართველოს მწვანეთა მოძრაობა. სამუშაო ჯგუფის წევრები შეთანხმდნენ, რომ წევრებს შორის ფუნქციები და უფლება-მოვალეობები მკაცრად უნდა იყოს განსაზღვრული როგორც პროექტის წევრის, ასევე მისი განხორციელების დროს.

დამსწრეებმა საკმაოდ დიდხანს იმსჯელეს პროექტის თემატიკაზე. განისაზღვრა რამდენიმე სავარაუდო თემა, ესენია: 2012-2016 წლების ”საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეორე ეროვნული პროგრამის” შესრულების მონიტორინგი, მწვანე ეკონომიკა, მდგრადი განვითარების მონიტორინგი. გადაწყდა, რომ თემატიკის საბოლოოდ შესარჩევად, ჯგუფი წევრებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობის გადასანაწილებლად 1 გვისტოს, 4 საათზე, საქართველოს მწვანეთა მოძრაობის ოფისში ჩატარდება პროექტზე მომუშავე ქვეჯგუფის შეხვედრა.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ ჯგუფის შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: სალომე ბულია